საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 36 (6530) 10 სექტემბერი ხუთშაბათი 1992 წელი

## არჩევნები — ყველას საზრუნავი

ჩვენი რესპუბლიკის ყველა კეთილი ნების მოქალაქემ სიამოვნებით აღიქვა 3 სექტემბერს მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს შორის მოლაპარაკების შედეგები, რასაც დაეთანხმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სამხრეთი ოლქების ხელმძღვანელები აფხაზეთში საომარი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

საჭიროროტო, დამაფიქრებელი, საბედისწერო და სხვა მსგავსი პრობლემები ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, რომ ტყვიან საჭიროზე მეტია. ეს საკითხები მოიცავენ ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს — სოციალურსა და ეკონომიკურს, საგარეოსა და საშინაოს, ეთნიკურსა და რეგიონალურს, პარტიულსა და საზოგადოებრივს. და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება. ზედმეტია საუბარი ამ კამპანიის მნიშვნელობაზე. მის ჩატარებაზე, შედეგებზე მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოს აწმყო და მომავალი, იმ გზის ბედი, რომელმაც სანუკვარ ტაძრამდე უნდა მიგვიყვანოს. დღეს, არ არის საქართველოში კაცი, რომელსაც ამ არჩევნების შედეგები სხვანაირად ესმოდეს. სამაგიეროდ, არიან ისეთები, რომლებსაც არ აწყობთ არჩევნების ჩატარება, მისი ნორმალურად წარმართვა, რადგან რესპუბლიკის სტაბილიზაცია მათთვის დამღუპველია, ამიტომ არჩევნების ჩატარების თავისებური გეგმაჩანაფიქრი აქვთ. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ როცა უკვე შექმნილი იყო საარჩევნო ოლქები, არჩეულ იყო მათი თავმჯდომარეები, რეგისტრირებული პარტიები, საარჩევნო ბლოკები, საარჩევნო დებულებაში მესამედ შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, რამაც ერთგვარი გაურკვევლობა შეიტანა ამომრჩევლებში.

შეიძლება „ზედა თუ ქვედა ეშელონებში“ ზოგიერთებს მართლაც არ აწყობდეთ არჩევნები, მისი შედეგები, რომ რესპუბლიკას ჰყავდეს კანონიერი მთავრობა, გარკვეული ძალები ეჭვის ქვეშ აყენებენ მისი ჩატარების შესაძლებლობას, რითაც ნებით თუ უნებლიედ ხელს უშლიან ამ პროცესს და სხვის წისქვილზე ასხამენ წყალს, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ ყველა კეთილი ნების მოქალაქეს, მშრომელ მასებს, რიგით ადამიანებს სურთ რაც შეიძლება მალე დამყარდეს რესპუბლიკაში წესრიგი, აღიკვეთოს უმსგავსობა, აილაგმონ დამნაშავენი, ცხოვრება ჩადგეს ჩვეულებრივ კალაპოტში, რის გარანტიადაც და სრულიად სამართლიანადაც, მათ ახალი არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული პარლამენტი და ხელისუფლება მიაჩნიათ.

არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. შეიქმნა საარჩევნო უბნები, არჩეულია საუბნო-საარჩევნო კომისიები, დასახელებულია დეპუტატობის კანდიდატები. ამ დღეებში დაიწყება მათი რეგისტრაცია და შეხვედრები ამომრჩევლებთან.

11 ოქტომბრის არჩევნები ეს არის ახალი დემოკრატიული საქართველოს მომავლის, თითოეული მოქალაქის ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების გაუმჯობესების გარანტი. ამიტომ საჭიროა თითოეული ამომრჩეველი ამაღლდეს ყველაფერზე და მათ შორის საკუთარ, ვიწრო ინტერესებზე, მივიდეს 11 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან და გააკეთოს საკუთარი არჩევანი, რომელიც გამოადგება მის მშობლიურ ქვეყანას.

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

განიხილა რა ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საბუთები, საოლქო საარჩევნო კომისიამ,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რეგისტრირებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებად:

**ბაქრაძე რუბენ ევგენის ძე** — დაბადებული 1918 წელს, პედაგოგი, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ქვედა ცაგერში.

**ჩარკვიანი გელა ისკანდერის ძე** — დაბადებული 1954 წელს, ეკონომისტი, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური რეფორმის სამმართველოს უფროსის მოადგილე, უპარტიო, მცხოვრები ქ. თბილისში.

**ჩაკვეტაძე მურთაზ ახმედის ძე** — დაბადებული 1948 წელს, ისტორიკოსი, თბილისის საამშენებლო საწარმოო ფირმა „გარჯის“ გენერალური დირექტორი, უპარტიო, მცხოვრები ქ. თბილისში.

**მანდარია გიორგი რეზოს ძე** — დაბადებული 1963 წელს, მათემატიკოსი, საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო სასწავლო საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკის“ ოლიდური ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, მცხოვრები ქალაქ თბილისში.

**კვირკაშვილი კარლო სახნონის ძე** — დაბადებული 1940 წელს, ინჟინერი, ცაგერის რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსი, უპარტიო, მცხოვრები სოფელ ჩხუტელში.

**საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:**

**გ. ხვადაგიანი.**

**საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:**

**გ. ომანაძე.**

**ქ. ცაგერი, 5 სექტემბერი, 1992 წელი.**

## კავკასიაში მშვიდობის დასამყარებლად

3 სექტემბერს მოსკოვში „პრეზიდენტ ოტელში“ მოეწყო შეხვედრა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, აფხაზეთის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ რუსეთის მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელები.

შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას, ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ, რასაც დაეთანხმნენ აფხაზეთის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე სამხრეთ რუსეთის მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელები.

## მომავალს ოპტიმისტურად შევყურებთ

ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობა საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს. მათ ნაადაგ აკავშირებდათ ხასიათებისა და ტრადიციების სიახლოვე.

ფასეულობათა გადაფასების მიუხედავად ქართველობა ბოლომდე მტკიცედ იდგა ძმობის სადარაჯოზე, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა ერთ ნაწილში სეპარატისტულმა განწყობილებამ იჩინა თავი. აფხაზ გამთიშველებს თვალი გადამთიელებისაკენ ეჭირათ და მათი მეშვეობით ცდილობდნენ ავი განზრახვის სისრულეში მოყვანას — საქართველოსათვის აფხაზეთის ჩამოშორებას. ანგარიშს არ უწევდნენ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის მიწაზე 260 ათასი ქართველი ცხოვრობს. მათ — ჯერ კიდევ 1989 წელს დაღვარეს უდანაშაულო ქართული სისხლი, მერე იქამდე მივიდნენ, რომ სოხუმი ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქად გამოაცხადეს. მართალია, ქართულმა კაცთმოყვარეობამ საზღვრები არ იცის, მაგრამ, როცა აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ქართველობა ხიზნის მდგომარეობისათვის აღმოჩნდა განწირული, განგაშის ზარება დავარისხეთ, თანშეზრდილ აფხაზს გონიერებისაკენ მოვუწოდეთ, მაგრამ ამაოდ. სეპარატიზმის შხამით მოწამლულმა ე. წ. აფხაზურმა გვარდიამ ტყვია დაუშინა მშობლიურ მიწაზე მშვიდობიანი მისიით გადმოსულ ქართულ ჯარს. დაიწყო აფხაზეთის ომი, დაიღვარა უდანაშაულო სისხლი.

საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ე. შევარდნაძემ ყველაფერი იღონა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. 1992 წლის 3 სექტემბერს ხელმოწერილმა დოკუმენტმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, რომ საქართველო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძვის, მტრის ხელყოფისაგან იცავს ქართულ მიწას, ერთი მუჭა ექსტრემისტების მიერ მოტყუებული აფხაზეთიც გონს მოდის — დარწმუნებული იმაში, რომ ბედმა გვარგუნა ერთი ცის ქვეშ ცხოვრება. მომავალს ოპტიმისტურად შეჰყურებს ქართველობაც. ამის საფუძველს იძლევა მოსკოვის შეთანხმება, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია, მისი რეალიზაცია ბევრს დაუცხრობს აღძრულ მადას და დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

**ო. ჭაბუკიანი,**

**ცაგერის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე.**

## პოლიტიკური სიბრძნის მაგალითი

თანამედროვე აფორიაქებულ მსოფლიოში ფართოდ იმძლავრა ეთნოკონფლიქტებმა, მან საქართველოშიც მოიკიდა ფეხი, თუმცა ამის რეალური საფუძველი არ არსებობდა. დაირღვა აფხაზებს, სამაჩაბლოს ოსებსა და ქართველებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა და მეგობრობა. საქმე უმოწყალო სისხლისღვრამდე მივიდა, დაიღუპა დიდი რაოდენობით ხალხი.

დრო აღარ ითმენდა, საჭირო იყო ისეთი ბრძნული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა სისხლისღვრის შეწყვეტას და მშვიდობის აღდგენას. ეს კი არც ისე იოლია, რაზეც მეტყველებს მსოფლიოში პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკა.

და აი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ხელისუფლების ახლანდელმა ხელმძღვანელობამ შეძლო შეემუშავებინა და გამოენახა საქართველოსა და აფხაზი ხალხების ხსნის რეალური, ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოკუმენტი — ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მეთაურთა შორის 3 სექტემბერს, რასაც დაეთანხმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელები, რაც მთელმა მსოფლიომ აღიარა, როგორც ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების ყველაზე რეალური მოდელი.

**ალ. ნემსწვერიძე,**

**სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის №45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

# დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის № 45 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

განიხილა რა ამომრჩეველთა ჯგუფების, პარტიების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი საბუთები, საოლქო საარჩევნო კომისიამ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

შეიქმნას საუბნო საარჩევნო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

### ორხვის საარჩევნო უბანი №1

კომისიის თავმჯდომარე—როსტომ ბიქტორის ძე ახვლედიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ომარ სანდროს ძე გაბიძაშვილი.
კომისიის მდივანი—ლეილა აკაკის ასული მახარობლიძე.

**წევრები:**

თამარ ზურაბის ასული ახვლედიანი.
მაია ნაომის ასული მიქაუტაძე.
ვლადიმერ ვარლამის ძე კენჭაძე.

### ტვიშის საარჩევნო უბანი №2

კომისიის თავმჯდომარე—ფილიპე გრიგოლის ძე ლომთაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—აკაკი ევგენის ძე მოწონელიძე.
კომისიის მდივანი—ნელი სამსონის ასული ასათიანი.

**წევრები:**

გიული შალვას ასული ლაჭყეპიანი.
მედიკო ივანეს ასული ჩხაბერიძე.
აზა ხარლამპის ასული ყვირილიანი.
ითერი შიოს ასული კვატაშიძე.
გია მიქაუტაძე.

### ალპანის საარჩევნო უბანი №3

კომისიის თავმჯდომარე—მარინე ქორას ასული ჯანაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—ზურაბ შანგელის ძე ფრუიძე.
კომისიის მდივანი—მაია ვაჟას ასული გუგავა.

**წევრები:**

მაია ლერის ასული თვარაძე.
ლია გურამის ასული ჯანაძე.
მამუკა ბორისის ძე ფრუიძე.
ჯემალ კარლოს ძე ფრუიძე.
ნუკრი ნოდარის ძე ჯანაძე.

### ზოგიშის საარჩევნო უბანი №4

კომისიის თავმჯდომარე—ელისო შოთას ასული გოქაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—ბეჟან გურგენის ძე ასათიანი.
კომისიის მდივანი—ნანა ანზორის ასული ხვადაგიანი.

**წევრები:**

მზია ჯუმბერის ასული ლაკვეხელიანი.
იური ტრიფონის ძე გოქაძე.
მიმოზა ჯულულის ასული ხვადაგიანი.

### საირმის საარჩევნო უბანი №5

კომისიის თავმჯდომარე—გურამ სევერიონის ძე ჭოხონელიძე.
თავმჯდომარის მოადგილე—რეზო მიშას ძე სილაგაძე.
კომისიის მდივანი—ბელა ბეგლარის ასული ბურჯალიანი.

**წევრები:**

მიმოზა ლავრენტის ასული ხუციძე.
ფრიდონ ქიშვარდის ძე ალავიძე.
მაია იაშას ასული სანიკიძე.

### ლაილაშის საარჩევნო უბანი №6

კომისიის თავმჯდომარე—ჯონი დავითის ძე ჩორგოლიანი
თავმჯდომარის მოადგილე—რეზო დადაშის ძე ჩაჩხიანი.
კომისიის მდივანი—მარინე დადაშის ასული ფალავანდიშვილი.

**წევრები:**

ნატო ზურაბის ასული გოგიძე.
ლერი ვარლამის ძე ლეშკაშელი.
შოთა შალვას ძე მოწონელიძე.
რიტა მალაქის ასული ოვარაძე.
მალხაზ ჰიჰიკოს ძე ახვლედიანი.

### თაბორის საარჩევნო უბანი №7

კომისიის თავმჯდომარე—ნანი აქსენტის ასული ქარსელაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—დარეჯან კონსტანტინეს ასული ქარსელაძე.
კომისიის მდივანი—ლილი ნიკოლოზის ასული ქარსელაძე.

**წევრები:**

ჯუსტან სერგოს ძე გოქაძე.
ნინო გუგულის ასული მანაგაძე.
მთვარისა ამბროსის ასული კოპალიანი.

### სურმუშის საარჩევნო უბანი №8

კომისიის თავმჯდომარე—ლია თედორეს ასული სილაგაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—გურამ გრიგოლის ძე კობერიძე.
კომისიის მდივანი—ჟინვერ კოწიას ასული ხუბუკელაშვილი.

**წევრები:**

ლიანა მურმანის ასული კობერიძე.
როსტომ მურმანის ძე ქარსელაძე.
ქეთინო ისკანდერის ასული ჩარკვიანი.

### სპათაგორის საარჩევნო უბანი №9

კომისიის თავმჯდომარე—იური რუბენის ძე ნემსწვერიძე.
თავმჯდომარის მოადგილე—ვიოლეტა გრიშას ასული შეკიშვილი.
კომისიის მდივანი—ფერიდა გურამის ასული გოგებაშვილი.

**წევრები:**

თემურ ვალიკოს ძე სილაგაძე.
ვიტალი კუკურის ძე ლეშკაშელი.
თინა ვაჟას ასული ბურჯალიანი.
როლანდი შოთას ძე ნემსწვერიძე.
რამაზ გიორგის ძე სილაგაძე.
ოლეგ სემინარის ძე ლარცულიანი.

### ლაჯანის საარჩევნო უბანი №10

კომისიის თავმჯდომარე—ასმათ ჯუმბერის ასული ჩაჩხიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ჯუმბერ კონსტანტინეს ძე ფრუიძე.
კომისიის მდივანი—იზა გრიშას ასული გურასაშვილი.

**წევრები:**

დარეჯან რუბენის ასული მახარობლიძე.
ნატო დადაშის ასული მახარობლიძე.
თინა თედორეს ასული სილაგაძე.
ნესტორ არშაკის ძე ლეშკაშელი.
დალი ვლადიმერის ასული კვენეტაძე.
რეზო გიორგის ძე გიორგობიანი.

### ორბელის საარჩევნო უბანი №11

კომისიის თავმჯდომარე—მევლუდ პიმენის ძე მეგრელი.
თავმჯდომარის მოადგილე—ავდილო არსენის ძე ხუბუკელაშვილი.
კომისიის მდივანი—ლალი ჯიმშერის ასული მეგრელი.

**წევრები:**

ლეილა ჯუმბერის ასული მეგრელი.
ბექო გრიგოლის ძე გურგუჩიანი.
ლალი ოთარის ასული სვანიძე.
გულნარა შამშეს ასული გვიშიანი.
ნაიბი ვალიკოს ძე გელოვანი.
ელგუჯა შარდენის ძე გოგებაშვილი.
დენოლი ვლადიმერის ასული ხვადაგიანი.

### წილამიერის საარჩევნო უბანი №12

კომისიის თავმჯდომარე—ნანული თედორეს ასული ნემსწვერიძე.
თავმჯდომარის მოადგილე—ვარდენ ალექსანდრეს ძე ყიფიანი.
კომისიის მდივანი—ნივრა ამბროსის ასული ბურჯალიანი.

**წევრები:**

იზა რუბენის ასული ბურჯალიანი.
ლენა კაკოს ასული სილაგაძე.
თამარ ამბაკოს ასული აბაშიძე.

### უსახელოს საარჩევნო უბანი №13

კომისიის თავმჯდომარე—რომან გრიშას ძე თვარაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—გივი პავლეს ძე გოლეთიანი.
კომისიის მდივანი—მერი გიგოს ასული შეკიშვილი.

**წევრები:**

ვახტანგ ვალიკოს ძე ძნელაძე.
ნუკრი ყეროლის ძე ფალავა.
ნიკოლოზ გერასიმეს ძე გოლეთიანი.

### ღვირიშის საარჩევნო უბანი №14

კომისიის თავმჯდომარე—იური სანდროს ძე ჩხეტიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ბესიკ აკაკის ძე ხეცურიანი.
კომისიის მდივანი—ციცო პარიმონის ასული ახვლედიანი.

**წევრები:**

ნორა ვლადიმერის ასული გიორგობიანი.
ციცინო პარიმონის ასული ირემაძე.
რეზო ეტიფანეს ძე ჩხეტიანი.
ვაჟა პავლეს ძე ჩხეტიანი.
იზა ჯიბილოს ასული გიორგობიანი.

### უცხერის საარჩევნო უბანი №15

კომისიის თავმჯდომარე—ანზორ ანდროს ძე ახვლედიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—გია ქორას ძე ნემსწვერიძე.
კომისიის მდივანი—იზო სიმონის ასული ნემსწვერიძე.

**წევრები:**

ხვიჩა გივის ძე ნემსწვერიძე.
დარეჯან პარიმონის ასული ნემსწვერიძე.
როზა მიხეილის ასული ტვილდიანი.
ბელა ჯანიკოს ასული უჩაძე.

### ნასპერის საარჩევნო უბანი №16

კომისიის თავმჯდომარე—სოკრატ გრიგოლის ძე ხეცურიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ამირან გრიგოლის ძე ვაჩაძე.
კომისიის მდივანი—ტატიანა კაპიტოს ასული ფუტკარაძე.

**წევრები:**

მზია ვალერიანის ასული ახვლედიანი.
ბეჟან ვალიკოს ძე ძნელაძე.
მერაბ ვენედის ძე ახვლედიანი.
ნანული კაპიტოს ასული ფუტკარაძე.

### ნაკურალეშის საარჩევნო უბანი №17

კომისიის თავმჯდომარე—ბაქრო აკაკის ძე ყურაშვილი.
თავმჯდომარის მოადგილე—იგორ გერონტის ძე ყურაშვილი.
კომისიის მდივანი—ირმა ბიძინას ასული გვიშიანი.

**წევრები:**

ნანული იაკობის ასული სვანიძე.
გია გერონტის ძე ყურაშვილი.
დალი ოთარის ასული გოლეთიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის №45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

# დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის №45 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

**ალვის საარჩევნო**

**უბანი №18**

კომისიის თავმჯდომარე—ბონდო აკაკის ძე ჩხეტიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ლევან ვალიკოს ძე ახვლედიანი.
კომისიის მდივანი—ნაზი გიორგის ასული ირემაძე.

**წევრები:**

ფატი ბორისის ასული ჩხეტიანი.
იზო ალიოშას ასული ჭაბუკიანი.
მამუკა ბახვას ძე ჩხეტიანი.

**ლასურიაშის საარჩევნო**

**უბანი №19**

კომისიის თავმჯდომარე—კარლო აკაკის ძე კანჩაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—მურმან ვლადიმერის ძე ბრეგვაძე.
კომისიის მდივანი—მარინე დუშმანის ასული კანაჩაძე.

**წევრები:**

ციცინო გრიგოლის ასული სვანიძე.
ლია ანზორის ასული მუშკუდიანი.
მზია ლევანის ასული მუშკუდიანი.
დავით აფრასიონის ძე კანაჩაძე.
ზაზა კუკურის ძე გასვიანი.

**მახაშის საარჩევნო**

**უბანი №20**

კომისიის თავმჯდომარე—მურთაზ ნოდარის ძე ყურაშვილი.
თავმჯდომარის მოადგილე—მაყვალა ნოდარის ასული მურცხვალაძე.
კომისიის მდივანი—მარინა ომარის ასული კოპალიანი.

**წევრები:**

სევარიონ ამბროსის ძე სილაგაძე.
ჩიტო ომარის ასული მუშკუდიანი.
ჯემალ პეტრეს ძე მუშკუდიანი.
ბახვა ოთარის ძე ჭაბუკიანი.

**დიხვირის საარჩევნო**

**უბანი №21**

კომისიის თავმჯდომარე—ჟორა ვიტალის ძე ახვლედიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ჯაჯუ პორფილეს ძე ჭაბუკიანი.
კომისიის მდივანი—ნინო რაინდის ასული ჭაბუკიანი.

**წევრები:**

აზა გრიგოლის ასული დავითულიანი.
თამაზ შოთას ძე ხეცურიანი.
ნუგზარ შალვას ძე კოპალიანი,
რუსუდან გიორგის ასული გასვიანი.

**ჩხუტელის საარჩევნო**
**უბანი №22**

კომისიის თავმჯდომარე—ავთანდილ მიხეილის ძე ეფაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—ცისანა სამსონის ასული ლიპარტელიანი.
კომისიის მდივანი—ლეილა გიორგის ასული მეშველიანი.

**წევრები:**

ბადრი შალვას ძე სვანიძე.
გიორგი ალიოშას ძე კვირკაშვილი.
ბორის იონას ძე კვირკაშვილი.
ჯიმშერ პლატონის ძე ხმელიძე.
იამზე გივის ასული ბურჯალიანი.
ვალერი ჯემალის ძე გასვიანი.

**ქალაქ ცაგერის საარჩევნო**

**უბანი №23**

კომისიის თავმჯდომარე—შალვა არსენის ძე ცვარიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—დავით ნოდარის ძე მუშკუდიანი.
კომისიის მდივანი—ნორა ნიკოლოზის ასული ჩაკვეტაძე.

**წევრები:**

ციცინო აპოლონის ასული ნემსწვერიძე.
გოჩა ბიძინას ძე გასვიანი.
მურთაზ ავერიონის ძე ამბროლიანი.
მირიან ალექსის ძე ჩიქოვანი.
მარიკა ლევანის ასული დოლბაია.
ელზა მიხეილის ასული კოპალიანი.
ლია სამსონის ასული გუგავა.
ლალი შოთას ასული ახვლედიანი.

**ქვედა ცაგერის საარჩევნო**

**უბანი №24**

კომისიის თავმჯდომარე—ია ბენიას ასული ახვლედიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—როსტომ გალაქტიონის ძე სალინაძე.
კომისიის მდივანი—ნათელა შარდენის ასული კოპალიანი.

**წევრები:**

თამილა შოთას ასული ლიპარტელიანი.
ლოლა აბელის ასული კოპალიანი.
თამაზ რუბენის ძე ბენდელიანი.
მზია გერასიმეს ასული ხეცურიანი.
შოთა როდიონის ძე კოპალიანი.
ირინე იაშას ასული ხვადაგიანი.
ცისანა კუკურის ასული მუშკუდიანი.

**ლუხვანოს საარჩევნო**

**უბანი №25**

კომისიის თავმჯდომარე—მაგული ლუკას ასული ბენდელიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ვაჟა ლუკას ძე კოპალიანი.
კომისიის მდივანი—ლიდა სარდიონის ასული ბობოხიძე.

**წევრები:**

ნელი ნიკოლოზის ასული მუკვანი.
ავთანდილ ჭიჭიკოს ძე კოპალიანი.
ამირან ჟორას ძე სალინაძე.
მამუკა გურამის ძე ბენდელიანი.

**წიფერჩის საარჩევნო**

**უბანი №26**

კომისიის თავმჯდომარე—ოთარ კლიმენტის ძე ხეცურიანი.
თავმჯდომარის მოადგილე—ლილი ინდიკოს ასული ყურაშვილი.
კომისიის მდივანი—ლეილა ვანოს ასული ბენიძე.

**წევრები:**

დარეჯან გიორგის ასული ყუბუსიძე.
შამილ გელას ძე ლიპარტელიანი.
მანანა გიორგის ასული ხეცურიანი.
ნინა იორამის ასული ხეცურიანი.
გენადი ჯემალის ძე კოპალიანი.
მარინე ვლადიმერის ასული თუთისანი.

**ჩქუმის საარჩევნო**

**უბანი №27**

კომისიის თავმჯდომარე—ბადრი ალექსანდრეს ძე თუთისანი.
თავმჯდომარის მოადგილე—პეტრე ვლადიმერის ძე კოპალიანი.
კომისიის მდივანი—რევაზ გრიშას ძე ახვლედიანი.

**წევრები:**

ნინო სარდიონის ასული ბრეგვაძე.
ნუგზარ ოთარის ძე ლიპარტელიანი.
ირმა უჩას ასული ლიპარტელიანი.
ალუდა ჟორას ძე თუთისანი.

**ზუბის საარჩევნო**

**უბანი №28**

კომისიის თავმჯდომარე—ოთარ ნესტორის ძე ჩაკვეტაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—გუმერ სარდიონის ძე ბენიძე.
კომისიის მდივანი—დარეჯან ბიჭიკოს ასული ომანაძე.

**წევრები:**

ციცინო იროდის ასული გოლეთიანი.
მურმან ვასილის ძე ჩაკვეტაძე.
ნინო ჭიჭიკოს ასული ბენიძე.
იური ინდიკოს ძე ომანაძე.
ვარლამ ალიმის ძე ჩაკვეტაძე.
ნუნუ ანზორის ასული მუშკუდიანი.
გიული გრიგოლის ძე ჩაკვეტაძე.

**ისუნდრის საარჩევნო**

**უბანი №29**

კომისიის თავმჯდომარე—ოლია მელიტონის ასული გაბადაძე.
თავმჯდომარის მოადგილე—აპოლონ ერმილეს ძე მუშკუდიანი.
კომისიის მდივანი—თამარ ნესტორის ასული სალინაძე.

**წევრები:**

მზია რომანის ასული სალინაძე.
მურადი კაპიტოს ძე კუხალაშვილი.
ზურაბ დუშას ძე აკობიძე.
ზურაბ ევსევის ძე ბენიძე.

**ოყურეშის საარჩევნო**

**უბანი №30**

კომისიის თავმჯდომარე—ჰამლეტ ჯუმბერის ძე გიორგელიძე.
თავმჯდომარის მოადგილე—რომან ვლადიმერის ძე მამარდაშვილი.
კომისიის მდივანი—მზია ვაგნერის ასული ყურაშვილი.

**წევრები:**

მერაბ ჟორას ძე არჯევანიძე.
გოჩა დავითის ძე ახვლედიანი.
არსენ ანზორის ძე უგრეხელიძე.
ლალი შალვას ასული უგრეხელიძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:
გ. ხვადაგიანი.
საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:
გ. ომანაძე.
ქ. ცაგერი, 5 სექტემბერი, 1992 წელი.

## სასამართლოს დარბაზიდან

## არამი ლუკმა ვის შერჩენია

1992 წლის 29 თებერვალს, ღამით, სოფელ ალვში მცხოვრებმა ძმებმა ზაზა და გია კუჭიკოს ძე სილაგაძეებმა, ჭალისთაველ ადილერ ნოდარის ძე სალინაძესთან ერთად ჩაიდინეს მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება.

ზაზა და გია სილაგაძეები წინასწარ შეუთანხმდნენ ადილერ ნოდარის ძე სალინაძეს პირუტყვის მოპარვაზე. ამ უკანასკნელის ოჯახში დათვრნენ და გვიან ღამით წავიდნენ განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. მიადგნენ სოფელ წიფერჩში ბორის ალექსანდრეს ძე თუთისანის სახლს. სადგომიდან მოიპარეს სამი სული ძროხა, საქონელი გაიყვანეს სოფელ ალვში გია კუჭიკოს ძე სილაგაძის სახლში. ამ უკანასკნელმა დაკლა სამივე სული ძროხა, მაგრამ სარეალიზაციოდ ხორცის გატანა ვერ მოასწრეს.

ქურდები დაპატიმრებულ იქნენ იმავე დღესვე, გია კუჭიკოს ძე სილაგაძემ შემდგომში მოახერხა მიმალვა.

ცაგერის რაიონის სასამართლომ ქუთაისის №2 იზოლატორში განიხილა საქმე ზაზა კუჭიკოს ძე სილაგაძისა და ადილერ ნოდარის ძე სალინაძის მიერ პირუტყვის ქურდობის შედეგად ჩადენილი დანაშაულის შესახებ და ისინი ცნო დამნაშავეებად საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ზაზა კუჭიკოს ძე სილაგაძეს სასამართლომ მიუსაჯა გამასწორებელი სამუშაოები 2 წლის ვადით, მას ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა ერთი დღე სამ დღედ და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა გამასწორებელი სამუშაოები 11 თვითა და 14 დღით ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით.

ადილერ ნოდარის ძე სალინაძესაც მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები 2 წლის ვადით. მასვე ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა ერთი დღე სამ დღედ და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა გამასწორებელი სამუშაოები 11 თვითა და 14 დღით სამუშაო ადგილზე მოხდით ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით.

მსჯავრდებულებმა ნებაყოფლობით აანაზღაურეს ზარალი.

## შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან გვატყობინებენ

1992 წლის 21 აგვისტოს ღამის 02 საათზე, ჯერ კიდევ დაუდგენელი, ოთხი ბოროტმოქმედი ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებულნი თავს დაესხნენ სოფელ ლარჩვალში მცხოვრებ მოქალაქე ხოხო ალექსანდრეს ძე სვანიძეს, მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა და გაიტაცეს 6000 მანეთი.

1992 წლის 22 აგვისტოს ღამით რაიონის განათლების განყოფილებიდან მოიპარეს საბეჭდი მანქანა და ორი ცალი ტელეფონის აპარატი.

1992 წლის 25 აგვისტოს 11 საათსა და 30 წუთზე წყალტუბო-ცაგერის გზის 35-ე კილომეტრზე სოფელ ოფიტარის ტერიტორიაზე მოძრაობდა ავტომანქანა პაზ-3205, სახელმწიფო №9428. იგი ეკუთვნის ქუთაისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, რომელსაც მართავდა მძღოლი გოჩა გიორგის ძე რამიშვილი, რომელმაც ვერ უზრუნველყო ავტომანქანის მართვის სწორი ორიენტაცია, გადავიდა სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს და გადავარდა ხევში, ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა სამი, სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო 20 მგზავრმა.

აღნიშნულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შესაბამისი სამსახურები.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე

## ყურადღება!

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოსთან არსებული ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრი აცხადებს 7-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა მიღებას ქორეოგრაფიულ წრეში.

მსურველთა მიღება იწარმოებს 15 სექტემბერს დღის 3 საათზე.

სწავლება ფასიანია.

საგზაო სამმართველოს პროფკავშირული ორგანიზაცია.

## გილოცავთ ქორწინებას!

**მარინა მუშკუდიანს, გელა გენიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.

**რეზო ლეთოდიანი ოჯახით.**

---

**ირმა გუგავას, მამუკა ქარსელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ იმრავლეთ.

**ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები.**

---

**ირმა გუგავას,**
**მამუკა ქარსელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.

**ფიქრია, ბაჩუკი მეშველიანები, ლანა ხაჯაპურიძე.**

---

**დარეჯან გორგიანს,**
**გია გოგებაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ, იმრავლეთ.

**ნათია, ელისო, ამირან გურგუჩიანები.**

---

**ნინო თუთისანს, კახა მუშკუდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. დაგბერდებოდეთ შვილთა სიმრავლე.

**მადონა და თენგიზ მამასახლისები.**

## გილოცავთ

**ლია, კარლო კვირკაშვილებს**

გილოცავთ მაკას სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას.

**თემურ კოპალიანი, იური ჭაბუკიანი ოჯახებით.**

---

**ფიქრია მალხაზის ასულ მახაროგლიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს გფარავდეს ღმერთი.

**ნატო, გიორგი, დათო, ეკა.**

---

**ნინო, ნუგზარ სალინაძეებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეული მამულიშვილი.

**სტატისტიკის რაიონული განყოფილების თანამშრომლები.**

---

**ნანა ახვლედიანს**
**ტატო თუარაძეს**

გილოცავთ შვილის შეძენას, ბედნიერი გაზრდილიყოს.

**ჩხუტელის სკოლის პედკოლექტივი.**

## ცაგერის ბავშვთა სამხატვრო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

1992-1993 სასწავლო წლისათვის. მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ სპეციალობებში: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია.

სკოლაში ჩარიცხვის მსურველებმა მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები. განცხადება, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3, 4).

სკოლაში მიიღებიან 9-დან 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდები (გოგონები და ვაჟები).

საბუთების მიღება იწარმოებს 20 სექტემბრამდე სკოლის დირექციაში.

სკოლაში მისაღები გამოცდების დაწყებამდე ყოველდღე (გარდა კვირა დღისა) 3 საათიდან 5 საათამდე ჩატარდება კონსულტაციები.

გამოცდები მოეწყობა [illegible] 20 სექტემბრამდე დილის 9 საათიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას, სწავლების ვადა 4 წელია.

სკოლის მისამართი: რუსთაველის ქუჩა №43.

ტელეფონი 27-95.

სკოლის დირექცია.

## ხსოვნა

### მამუკა ზურაბის ძე ახვლედიანი



ახოვანი, ლამაზი და ამაყი, ვაჟკაცური სულით დაბიჯებდი, ერთგული და მოსიყვარულე იყავ მეგობრებშიც, ოჯახშიც. შეუძლებელია შეგუება იმ უბედურებასთან, რომელიც შენი ტრაგიკული წასვლით დაგვატყდა თავს ოჯახის წევრებს. ორმოცი დღეა ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე უბედურ მშობლებსა და მწუხარებით წელში გატეხილ შენს ძმებს.

უბედური შეიქმნა შენთვის მარიობის თვე, ვაჟკაცობით სცადე ბუნების მრისხანების დამარცხება, აბობოქრებულ რიონს შეებრძოლე და... ოცდამესამე დღეს გვეღირსა შენი ტანჯული სულის დაბრუნება ოჯახში. საპირველსექტემბროდ უმაღლესი სასწავლებლისათვის ემზადებოდი, — მამუკა მაგრამ ვაი, რომ ვერ მოესწარი სტუდენტური ცხოვრების ვერც ერთ დღეს. შენს ნივთებსა და ტანსაცმელს ვეფერებით, ბიჭო მწუხარებით გათანგული შენიანები.

სანთელივით ნათელი ბიჭი იყავ და ნათელი გქონდეს სამუდამო სასუფეველში. გწამდეს სანამდი ცოცხლები ვართ, ჩვენს გვერდით იქნები და მუდამ ცრემლში დანამული ვარდები იხარებს შენს სიცოცხლემოწყურებულ გულზე.

მშობლები, ძმები, რძალი.

### თამარ კონსტანტინეს ასული ახვლედიანი

სევდანარევი ღიმილით გვხვდები ყოველ დილით სამსახურში მოსულებს თამარა დეიდა, კედლიდან გვიღიმი და თითქოს ჩუმი საყვედურით გვეუბნება — სამუშაოს მიუჯექით, ცხოვრებაში უპრეტენზიო, საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი — ასეთს გიცნობდით ყველა და გვენანები ჩვენს გვერდით რომ აღარ ხარ.

სასახელოა კეთილი საქმე, ღრმად იდგამს ფესვს მისი ნაყოფი, და ბედნიერი ხარ თამარ დეიდა, რადგან შენგან დათესილი კეთილი თესლი უხვად აღმოცენდა. მთელი შენი სიცოცხლე დაობლებულ დისშვილების აღზრდას შეალიე.

45 წელი იმუშავე ცაგერის შემნახველ ბანკში უფროსი კონტროლიორის თანამდებობაზე ყველა ახალდამწყებს გულმოდგინეთ გვასწავლიდი რთულ ოპერაციებს, რასაც ჩვენი სამუშაო შეიცავს, ამიტომ არ გივიწყებთ. ყოველ დაბადების დღეს მოვდივართ შენს საფლავთან შენი აღზრდილები, მოკრძალებით, რიდით და ღრმა პატივისცემით თავს ვხრით შენს წინაშე და სანთლების ლიცლიცში ჩუმად გეუბნებით: დაბადების დღეს გილოცავთ თამარა დეიდა.

ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები.

---

მეუღლე შალვა, შვილები სულიკო, გული, ლამარა, რეზო, როსტომი, ძმა გრიშა, და სონია, მაზლი კუკური არდანიანი, რძლები ნაზიკო, მანანა, მთვარისა, სიძეები ომარ მუშკუდიანი, დათო ლომთაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანეტა ვასილის ასული მურცხვალაძე-არდანიანი**

დაკრძალვა 12 სექტემბერს, შაბათს, სოფელ მახაშში.

---

სერაპიონ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჯემალ ჩიკვაიძეს ძმის

**ჟორა ჩიკვაიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ქურასპედიანი, ვახტანგ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა და გულვერ სალინაძეებს დისა და ცოლისდის

**მაყვალა მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ლეილა, მედიკო ნემსწვერიძეები, ლოლა ალავიძე, ლომნა უგრეხელიძე, თამარ, მაკა ქვარიანები, ციალა ონიანი, ნონა, იზო ასათიანები თანაუგრძნობენ მანანა ბანძელაძეს ბებიის

**პოლისკა ნესტორის ასული ალავიძე-ბანძელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნიკოლოზ ომანაძე, რეზო რაფიელის ძე ჯანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**მამუკა ზურაბის ძე ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟოზია, რუსიკო, ემზარი მდივნები, შალიკო ჭაბუკიანი ოჯახებით იუწყებიან

**ზაური ლავრენტის ძე ქობულაძის**

გარდაცვალებას.

---

სამხატვრო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს დავით ჯემალის ძე ჩიკვაიძეს ბიძის

**ჟორა ჩიკვაიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონული საკრებულოს გამგეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯემალ ჩიკვაიძეს ძმის

**ჟორა ჩიკვაიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მარო, შვილები ლამარა, ჯემალი, ვაჟა, გივი, ნიკო სიძე გოგა ბენდელიანი, რძლები დალი, დოდო, იამზე, მანანა შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები და დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კოსტა (კოწია) გიორგის ძე ყურაშვილი**

დაკრძალვა 12 სექტემბერს, შაბათს, სოფელ ზუბში

---

გურამ მეგრელი, შოთა დაშნიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, გულვერ სალინაძეებს დისა და ცოლისდის

**მაყვალა მანდარიას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თალიკო ყურაშვილი, თამაზ ჩაკვეტაძე, ოთარ ხაბულიანი, მარიამ კახიძე, მარიამ გამსახურდია, ჟორა, გიული ხეცურიანები, ნუკრი სალინაძე, ქუქუნა ცხვედიანი, თამაზ სილაგაძე, ჯიმშერ ყვირილიანი, მაიზერ კოპალიანი თანაუგრძნობენ კუკური მდივანის ოჯახს სიძის

**ზაური ქობულაძის**

გარდაცვალების გამო.